



ვამტკიცებ

ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის
სენატის გადაწყვეტილება № 3/5 20.02.2020

სენატის თავმჯდომარე, პროფესორი, რექტორი
_____ ი.შარაბიძე



სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის დედმამიშვილი სტუდენტებისათვის სწავლის საფასურის ფინანსური შელავათის გაცემის წესი ND 2- O29

შეთანხმებულია

რექტორის პირველი მოადგილე _____ ი.კაცაძე

რექტორის მოადგილე _____ ა. კახიძე

რექტორის მოადგილე _____ მ. ლორია

იურიდიული და ადამიანური რესურსების
მართვის დეპარტამენტის უფროსი _____ რ.ყიფიანი

შემუშავებულია:

იურიდიული და ადამიანური რესურსების
მართვის დეპარტამენტის იურისტი _____ ნ. ლოლობერიძე

ND 2-O29

სტატუსი: მოქმედი

რევიზია № 1

რევიზიის თარიღი 20.02.2020

მოქმედებაშია 20.02.2020



შინაარსი

1. ნორმატიული ბაზა -----	3
2. გამოყენებული ტერმინებისა და შემოკლებების განმარტება -----	3
3. ზოგადი დებულებები -----	4
4. დედამიწილი სტუდენტებისათვის შეღავათის გაწევის წესი -----	4
5. დედამიწილი სტუდენტებისათვის შეღავათის გაწევის პროცედურა ---	4
6. წესში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა -----	5
7. გავრცელების არე -----	5



1. ნორმატიული ბაზა

1. საქართველოს კანონი „უმაღლესი განათლების შესახებ“ ND 1-01-01(43-ე მუხლის პირველი პუნქტის „ი“ ქვეპუნქტი);
2. ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის წესდება ND 2-001; (30-ე მუხლის პირველი პუნქტის „ი“ ქვეპუნქტი);
3. ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის შინაგანაწესი ND 2-002; (37-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ1“ ქვეპუნქტი)

2. გამოყენებული ტერმინებისა და შემოკლებების განმარტებები

2.1 ტერმინები

- 1) **საგანმანათლებლო პროგრამა (კურიკულუმი)** – უმაღლესი განათლების კვალიფიკაციის მისაღებად აუცილებელი სასწავლო კურსების/მოდულების ერთობლიობა, რომელშიც მოცემულია პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები, სასწავლო კურსები/მოდულები შესაბამისი კრედიტებით, სტუდენტთა შეფასების სისტემა და სასწავლო პროცესის ორგანიზების თავისებურებები;
- 2) **სენატი** – ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანო;
- 3) **რექტორი** – ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის სენატის თავმჯდომარე;
- 4) **ფაკულტეტი** – უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ძირითადი სასწავლო- და ადმინისტრაციული ერთეული, რომელიც უზრუნველყოფს სტუდენტთა მომზადებას ერთ ან რამდენიმე სპეციალობაში და მათთვის შესაბამისი აკადემიური ხარისხის ან/და პროფესიული უმაღლესი განათლების შესაბამისი კვალიფიკაციის მინიჭებას;
- 5) **დეკანი** - უმაღლეს სასწავლებელში: ფაკულტეტის ხელმძღვანელი პირი;
- 6) **კრედიტი** – ერთეული, რომელიც გამოხატავს სტუდენტის მიერ ერთი საგნის ასათვისებლად შესასრულებელი სამუშაოს მოცულობას;
- 7) **დედამამიშვილი სტუდენტი** - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის სტუდენტები, რომლებიც არიან საერთო მშობლების შვილები.

2.2 შემოკლებები

1. **ND** – ნორმატიული დოკუმენტი;
2. **აკადემია** – ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია;
3. **ECTS** - კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემა



3. ზოგადი დებულებები

1. წინამდებარე წესი არეგულირებს ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული დედამიწვილ სტუდენტებისათვის სწავლის საფასურის ფინანსური შეღავათის გაწევის წესს.
2. წინამდებარე წესის მიზანია სტუდენტთა მოზიდვა და წახალისება.

4. დედამიწვილი სტუდენტებისათვის შეღავათის გაწევის წესი

1. ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის სენატი, ბიუჯეტის შესაბამისად, ყოველწლიურად იღებს გადაწყვეტილებას აკადემიის დედამიწვილი სტუდენტებისათვის ფინანსური შეღავათის გაწევის თაობაზე.
2. აკადემიის ბიუჯეტში გამოყოფილი სახსრების შესაბამისად სენატის მიერ ყოველწლიურად დგინდება სწავლის წლიური საფასურის შეღავათის ოდენობა.
3. სტუდენტს შეღავათი ეძლევათ ერთი სასწავლო წლის ვადით, თითოეული სემესტრისათვის სტუდენტის მიერ დარეგისტრირებულ მაქსიმუმ 30 კრედიტზე.
4. დედამიწვილი სტუდენტებისათვის ფინანსური შეღავათის გაწევის წინაპირობებია:
 - ა) დედამიწვილი სტუდენტების სტატუსი უნდა იყოს აქტიური. ერთ-ერთი სტუდენტის სტატუსის შეჩერების/შეწყვეტის შემთხვევაში შეღავათი მოეხსენება მის ბიოლოგიურ კავშირში მყოფ დედამიწვილ სტუდენტს.
 - ბ) შეღავათი არ გაეწევა სტუდენტებს, რომლებიც სარგებლობენ 100 %იანი სახელმწიფო გრანტით ან/და სტუდენტებს, რომლებსაც სტატუსი აქვთ შეჩერებული/შეწყვეტილი.

5. დედამიწვილი სტუდენტებისათვის შეღავათის გაწევის პროცედურა

1. დედამიწვილი სტუდენტებისათვის შეღავათის გაწევის შესახებ სენატის გადაწყვეტილების შემდეგ ფაკულტეტები და სტუდენტთა რეგისტრაციისა და მობილობის დეპარტამენტი უზრუნველყოფს სტუდენტთა ინფორმირებას და ინფორმაციის გასაჯაროებას აკადემიის ოფიციალური ვებ-გვერდის საშუალებით.
2. სენატის გადაწყვეტილების შემდეგ, დადგენილ ვადებში, აკადემიის აქტიური სტატუსის მქონე დედამიწვილი სტუდენტები შეღავათის სარგებლობის მიზნით განცხადებით მიმართავენ აკადემიის რექტორს.



3. განცხადებას თან უნდა დაერთოს სტუდენტების დედმამიშვილობის ფაქტის დამადასტურებელი იურიდიული დოკუმენტების ასლები (დედმამიშვილი სტუდენტების დაბადების მოწმობები, არსებობის შემთხვევაში აგრეთვე მშობლების ქორწინების მოწმობა).

4. განცხადებების წარმოდგენის შემდეგ, სტუდენტთა რეგისტრაციისა და მოხილობის დეპარტამენტის მიერ გაკეთებული მოხსენებითი ბარათის საფუძველზე გამოიცემა რექტორის ბრძანება.

შეღავათით მოსარგებლე სტუდენტთა საყურადღებოდ!

შეღავათით მოსარგებლე სტუდენტებს ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის შინაგანაწესის დარღვევის შემთხვევაში შეუწყდება შეღავათით სარგებლობის უფლება.

6. წესში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა

1. ცვლილების ინიციატორი შეიძლება იყოს სენატის წევრი.
2. წესის და მასში შეტანილი ცვლილებებისა და დამატებების დამტკიცება ხდება სენატის მიერ.

7. გავრცელების არე

1. დოკუმენტის ორიგინალი ინახება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში;
2. დოკუმენტის საკონტროლო ეგზემპლარი ინახება ფაკულტეტებზე;
3. დოკუმენტის აღრიცხული ეგზემპლიარის დაგზავნას აწარმოებს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური;
4. დოკუმენტის ელექტრონული ვერსია განთავსებულია www.office.bsma.edu.ge